დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიერ
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე „საექთნო საქმე“
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრი:
თათია გივიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება:**შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საიდენტიფიკაციო კოდი: **405337880**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☒ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 2 აგვისტოს MES 8 24 0000939402 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრი - თათია გივიშვილი) დაევალა, „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯში, 2024 წლის 12 აგვისტოს.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით გარემოში.

გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ადმინისტრირების საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან და შესწავლილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, დათვალიერდა საგანმანათლებლო პროგრამის “საექთნი საქმის” მატერიალური რესურსი და სასწავლო გარემო. მათ შორის განხილულ იქნა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით მომარაგების მექანიზმები, შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო რესურსის არსებობა.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გივიშვილი

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო საქმე	160	122	6	0

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.1 - კოლეჯმა უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებების მოწესრიგება შესაბამისი ვადების მითითებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის 30 ოქტომბრამდე).

დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი 2.2.1.1. შეფასდა, როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც რიგ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში (შპს „ავერსის კლინიკა“, შპს „ოპტიმალ მედი“, შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“, ჯეო ჰოეპიტალსი“), კვოტის გაზრდის შემთხვევაში ვადა არ არის განსაზღვრული პროგრამის განხორციელების ვადით, ხოლო ჯეო-ჰოსპიტალთან გაფორმებულ ხელშეკრულებიდან ასევე რ ჩანს, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლია კლინიკას და რამდენი ექთანი მოემსახურება პროფესიულ სტუდენტებს (საქართველოს მთავრობის დადგენილება №416, 2022 წლის 9 აგვისტო, მუხლი 8). თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯმა, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად დაგეგმილი აქტივობების, კერძოდ ხელშეკრულებების მოწესრიგების ბოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვადად მითითებულია 2024 წლის 30 ოქტომბერი, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ რელევანტურად ჩაითვალა, აღნიშნული ინდიკატორის (2.2.1.1.) შეფასება, შეიცვალა მეტწილ შესაბამისად და გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პიზიცია და სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობები, რელევანტურად ჩათვალა მითითებული ვადა და სტანდარტი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. მარნეული 26 მაისის N 80
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	240
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	122 კოოპერაციული
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	240 კოოპერაციული
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

„საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი ფლობს სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს მისამართზე: მარნეული, 26 მაისის ქ. N80, მეხუთე სართული.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გამოყოფილი აქვს:

2 - **A სასწავლო გარემო** - პროგრამისათვის. მითითებულ აუდიტორიებში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობაა 40-40 (მაგიდა და სკამი) და ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის თითო-თითო მაგიდა და სკამი. ორივე აუდიტორიაში განთავსებულია კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, ეკრანი და დაფები.

2- **B სასწავლო გარემო** - ერთში განთავსებულია პროფესიული სტუდენტისათვის განკუთვნილი 20 კომპიუტერი, მეორეში 25 კომპიუტერი, შესაბამისი რაოდენობის მაგიდებით და სკამებით. ასევე განთავსებულია პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, 1 კომპიუტერი. დემონსტრირების ციფრული საშუალება - მონიტორი, დაფა.

2- **AC სასწავლო გარემო** - რომლებშიც განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისათვის 40 – 40 მაგიდა/სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, ფუნქციური საწოლი, მანეკენი, მენჯის მულაჟი (ქალისა და კაცის გენიტალიები, შარდსადენი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ტიფლისელი

ნაწლავის სტომის სიმულაციის შესაძლებლობა), შშმ პირის ეტლი, ქირურგიული ინსტრუმენტებით და სხვა შესაბამისი აღჭურვილობა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნულ გარემოში განხორციელდება 2 მოდული - „ავადმყოფის მოვლა და „შინმოვლა“.

კლინიკური სწავლების მოდულების განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან:

შპს „ავერსის კლინიკა “ ს/კ 212002580; ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №27ბ (ხელშ. N10, გაფორმების თარიღი: 23.08,2019 ვადა 2025 წლის 1 იანვრამდე), კლინიკა ერთდროულად მოემსახურება 10 პროფესიულ სტუდენტს და ხელშეკულებაში არის ასევე ჩანაწერი, რომ სწავლების პროცესში ჩართული ინდა იყოს 1-ზე მეტი ექთანი. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“ ს/კ 225368330, მის; ქ.ბოლნისი, დავით აღმაშენებელის ქ. N25 (ხელშ. N2774, მოქმედების ვადა 15.08.2024 - 15. 08. 2028. 35 პროფესიულ სტუდენტს ერთდროულად მოემსახურება1 პრაქტიკის ხელმძღვანელი და მინიმუმ 5 ექთანი. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

შპს „მარნეკორი“ ს/კ404978048, მის: ქ.მარნეული, 26 მაისის ქ.N80 (ხელშ. N16, გაფორმების თარიღი: 14.08.2024, ვადა 2028 წლის 15 აგვისტომდე). ხელშეკრულების თანახმად კლინიკა ერთდროულად მოემსახურება **35 პროფესიულ სტუდენტს.** მათი სწავლებისთვის გამოყოფილია მინიმუმ 5 ექთანი. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

შპს „ოპტიმალ მედი“ ს/კ 4045120 96, მის: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N50 (ხელშ. N22, გაფორმების თარიღი: 07.10,2019, ვადა 2025 წლის 1 იანვრამდე.);, ერთდროულად მოემსახურება 35 პროფესიულ სტუდენტს. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

შპს „სპინა“ ს/კ 400375740, მის: რუსთავი, 26 მაისის ქ. N80, გაფორმების თარიღი: 14.08,2024, მოქმედების ვადა 2028 წლის 15 აგვისტომდე კლინიკა ერთდროულად მოემსახურება 35 პროფესიულ სტუდენტს. მათი სწავლებისთვის გამოყოფილია მინიმუმ 5 ექთანი. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს „მზრუნველი ჰოსპიტალი“ ს/კ 405658480, მის: რუსთავი, 26 მაისის ქ. N80 გაფორმების თარიღი: 14.08.2024, ვადა 2028 წლის 15 აგვისტომდე. კლინიკა ერთდროულად მოემსახურება 35 პროფესიულ სტუდენტს. მათი სწავლებისთვის გამოყოფილია მინიმუმ 5 ექთანი. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ ს/კ 216296889, მის: რუსთავი, წმინდა ნინოს ქ. 5, (ხელშ. N 5, გაფორმების თარიღი: 14.08,2019 ვადა 2025 წლის 15 აგვისტომდე, ერთდროულად მოემსახურება 30 პროფესიულ სტუდენტს.კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ ს/კ 236035517, იურიდიული მის: თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ლ. ასათიანის ქ. 9. (ხელშ. ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის 16 ნოემბერს და ძალაშია 2024 წლის 16 ნოემბრამდე. შეუძლია მიიღოს 50 პროფესიული სტუდენტი. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

„შპს მარნეულის ამბულატორია ს/კ 405266037 მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N80 (ხელშ. N6, გაფორმების თარიღი: 14.08,2019) ვადა 2025 წლის 1 სექტემბრამდე, ვადა ავტომატურად გრძელდება, ერთდროულად მოემსახურება 30 პროფესიულ სტუდენტს. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“, ს/კ 404907730, მის: შპს ჯეო ჰოსპიტალსის მარნეულის მრავალპროფილური დამედიცინო ცენტრი, მისამართზე - მარნეული, ყოფილი სამხედრო ქალაქის ტერიტორია და მარნეულია სამშობიარო და ამბოლატორიული ცენტრი - მისამართზე: მარნეული, რუსთაველის ქ.N112, გაფორმების თარიღი: 21.07,2022, ვადა 2 წლის განმავლობაში, თუმცა გრძელდება ავტომატურად შემდგომი ერთი წლით, თუ არ მიმართა შეწყვეტის მოთხოვნით. ყოველ **15 პროფესიულ სტუდენტზე გამოყოფს 1 პრაქტიკის ხელმძღვანელს;**

ყველა წარმოდგენილ ხელშეკრულებას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი. პროგრამის თანაგანმახორციელებელი კლინიკები ადასტურებენ მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას შესაბამის განყოფილებებში.

შპს „ავერსის კლინიკა“:

- კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ტიფლისელი

- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები;
- კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა,

შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“

1. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
3. კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;

შპს „მარნეკორი“

1. კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. 5კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა,

შპს „ოპტიმალ მედი“

1. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
3. კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
7. კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა.

შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“

1. კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;

შპს „მზრუნველი ჰოსპიტალი“

1. ავადმყოფის მოვლა;
2. შინმოვლა.

შპს „სპინა“

1. ავადმყოფის მოვლა;
2. შინმოვლა;
3. საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხადასხვა დაწესებულებაში.

,,შპს მარნეულის ამბულატორია“

1. კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები;

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“

1. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
3. კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
7. კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები;
9. კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა;
10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
11. კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
12. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა,

შპს „ჯეო ჰოსპიტალსი,

1. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
3. კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
7. კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები;
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები;
9. კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა;
10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
11. კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
12. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა,

როგორც ზემოთ აღინიშნა, რიგ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში (შპს „ავერსის კლინიკა“, შპს „ოპტიმალ მედი“, შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“, შპს „ჯეო ჰოეპიტალსი“), კვოტის გაზრდის შემთხვევაში, ხელშეკრულების ვადა არ არის განსაზღვრული პროგრამის განხორციელების ვადით, ხოლო ჯეო-ჰოსპიტალთან გაფორმებულ ხელშეკრულებიდან არ ჩანს, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლია კლინიკას და რამდენი ექთანი მოემსახურება პროფესიულ სტუდენტებს (საქართველოს მთავრობის დადგენილება №416, 2022 წლის 9 აგვისტო, მუხლი 8).

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. თუმცა დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა, დირექტორის 2024 წლის 26 აგვისტოს № 00010656 ბრძანებით დამტკიცებული, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად ხელშეკრულებების მოწესრიგება დაგეგმილია 2024 წლის 30 ოქტომბრამდე. **ექსპერტების შეფასებით აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებების მოწესრიგება, რასთან დაკავშირებითაც კოლეჯს მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია და გამომდინარე აქედან ინდიკატორი 2.2.1.1.შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

„საექთნო განათლება“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 49 პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირი, მათი უმეტესობა სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმი და ექთანია. თეორიულ მოდულებს განახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2024 წლის, N10144 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიულ განათლების მასწავლებელთან/პროგრამის განმახორციელებლთან ან/და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამსაქმებლებთან ერთად, მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, დანერგვასა და მოდიფიცირებაში, პროგრამის მონიტორინგისა და განვითარების პროცესებში, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესში. იგი არის ძირითადი საკონტაქტო პირი, რომელიც მონაწილეობს პროგრამის შიდა და გარე შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში, პროგრამის სრულყოფის მიზნით ეცნობა შედეგებს, რეაგირებს მასზე, აანალიზებს და აფასებს მათ.
პროგრამის ხელმძღვანელს აქვს ორი, ექიმის და ექთნის კვალიფიკაცია
ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

„საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ექსპერტების მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები განთავსებულია ელექტრონულად CD დისკზე . დაწესებულებაში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში, ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში, შესაძლებელია ციფრული ვერსიების მატერიალურად ამობეჭდვაც, რამდენადაც მასში განთავსებულია 1კომპიუტერი და 1 პრინტერი.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 24. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვა) განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმები, რომელიც მოიცავს სსსმ პირების კომპონენტსაც. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმით განსაზღვრულია გეგმის შედგენაში მონაწილე პირები, მათ შორისაა პროფესიული სტუდენტიც. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პრაქტიკა, თუმცა ამ ეტაპზე,, კერძოდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ კოლეჯში სსსმ პირი არ ირიცხება.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ტიფლისელი

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

„საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი შედგენილია რენტაბელობის ზღვრის გათვალისწინებით. ხარჯების ნაწილში განსაზღვრულია ამ პროგრამის მიზნებისთვის პირდაპირ გასაწევი და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი, მათ შორის პერსონალის პროფესიული განვითარებაზე გასაწევი ხარჯები . რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 25 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი.. შემოსავლების მთავარი წყარო ვაუჩერული დაფინანსებაა, **აღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

დასტურდება:

- შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის’დირექტორის 2024 წლის ბრძანებით N10144 დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის” დირექტორის 2019 წლის 5 სექტემბრის N 35 ბრძანებით (პროგრამაში ბოლო შევიდა ცვლილება 2021 წლის 4 ოქტომბრის N01/58 ბრძანებით) დამტკიცებული „საექთნო საქმისს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- კოლეჯსა და სამედიცინო კლინიკებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროგრამის განმახორციელებელი მროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ბიუჟეტით;
- კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სამედიცინო კლინიკების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;
- კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 26 აგვისტოს № 00010656 ბრძანებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

30.08.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: